

## უკრაინაში 1932-1933 წლებში შიმშილისა და პოლიტიკური რეპრესიების

### შედეგად დალუპულთა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს პარლამენტი:

მიიჩნევს, რომ დემოკრატიული საზოგადოების უპირველესი მოვალეობა ომის, გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ნებისმიერი გამოვლინების უმკაცრესი შეფასება და დაგმობაა,

გმობს ასეთ დანაშაულებს და აღნიშნავს, რომ საქართველო მიუერთდა 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციას „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ და 1968 წლის 26 ნოემბრის კონვენციას „ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებში ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობის თაობაზე“.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს შემდეგს:

უკრაინაში შიმშილი და თანმდევი პოლიტიკური რეპრესიები დაიგეგმა და განხორციელდა გოგალიგარული რეჟიმის პერიოდში, საბჭოური სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის გამოსვლების ჩახშობის, მისი კულტურული და ეთნიკური იდენტურობის განადგურების მიზნით. კომუნისტების მიერ 1932-33 წლებში ორგანიზებულმა და განხორციელებულმა გენოციდმა 7 მილიონზე მეტი უკრაინელის სიცოცხლე შეიწირა; ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იღუპებოდა შიმშილით, მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება გონობით მარცვლეულის ექსპორტს ახდენდა ქვეყნიდან დასაფლეთში. საბჭოთა კავშირი ათწლეულების განმავლობაში უარყოფდა იმ სისასტიკეს, რომელიც დაიგეგმა და აღსრულდა უკრაინაში სტალინის მმართველობის დროს. ამ მოვლენებს უმძიმესი შედეგები მოჰყვა – უკრაინის ეთნიკური იდენტურობის მოშლა და კულტურული თვითმყოფადობის დაკნინება.

საქართველოს პარლამენტი:

ითვალისწინებს, რომ 1998 წლის 26 ნოემბერს უკრაინის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ყოველი წლის ნოემბრის მეოთხე შაბათი გამოცხადდა პოლიტიკური რეპრესიებისა და შიმშილის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ, ხოლო 2002 წლის 28 ნოემბერს „ვერხოვნა რადამ“ უკრაინაში 1932-33 წლებში მოწყობილი შიმშილი უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდის აქტად აღიარა,

აცნობიერებს, რომ აღნიშნულ პერიოდში გოგალიგარულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა უკრაინელი ხალხის წინასწარგანმრახბული გენოციდი განახორციელა,

თანაგრძნობასა და სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს და გამოთქვამს თავის მწუხარებას 1932-33 წლებში უკრაინაში განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა დალუპვის გამო.

თბილისი,

2005 წლის 20 დეკემბერი.

## **Про увічнення пам'яті загиблих в Україні в 1932-1933 роках внаслідок політичних репресій і голодомору**

Парламент Грузії:

вважає, що головним обов'язком демократичного суспільства є жорстка оцінка й засудження злочинів геноциду та будь-якого злочину, спрямованого проти людства,

засуджує такі злочини і відзначає, що Грузія приєдналася до Конвенції про попередження злочину геноциду та покаранні за нього, від 9 грудня 1948 року і Конвенції про незастосовність терміну давності до військових злочинів і злочинів проти людства, від 26 листопада 1968 року.

Виходячи з цього, Парламент Грузії відзначає наступне:

В Україні в період тоталітарного режиму були заплановані і здійснені голодомор і супутні політичні репресії з метою придушення виступів українського народу проти колективізації радянського сільського господарства, знищення його культурної та етнічної ідентичності.

Організований та здійснений комуністами в 1932-1933 роках геноцид забрав життя понад п'яти мільйонів українців; щодня від голоду гинули тисячі людей у той час, як радянська влада здійснювала експорт зернових тоннами з країни на Захід. Радянський Союз протягом десятиліть заперечував ту жорстокість, що була запланована і здійснена в Україні в період правління Сталіна. Ці події мали найважчі наслідки - порушення етнічної ідентичності і приниження культурної самобутності.

Парламент Грузії:

враховує, що Президент України 26 листопада 1998 року видав указ, згідно якого щорічно четверта субота листопада оголошена днем пам'яті жертв політичних репресій і голоду, а Верховна Рада 28 листопада 2002 року визнала спровокований у 1932-1933 роках в Україні голод актом геноциду, здійсненого проти українського народу,

усвідомлює, що тоталітарним більшовицьким режимом у зазначений період був здійснений навмисний геноцид проти українського народу,

висловлює скорботу і співчуття з приводу загибелі жертв геноциду, здійсненого в Україні у 1932-1933 роках і заявляє про солідарність з українським народом.

**Тбілісі**

20 грудня 2005 року